შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი 0102,
დიმიტრი უზნაძის ქ. N68ბ

LLC EAST- WEST UNIVERSITY
68B Dimitri Uznadze St.,
Tbilisi, 0102, Georgia

www.eastwest.edu.ge
(+995 32) 15 71 72
info@eastwest.edu.ge

პრეზიდენტის ბრძანება № 01-08

ქ. თბილისი 2026 წლის 20 იანვარი

შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტის მედიცინის სკოლაში სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 37² მუხლის, შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2025 წლის 11 თებერვლის N01-11 ბრძანებით დამტკიცებული შპს „აღმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტის“ დებულების 36-ე მუხლის, შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2025 წლის 11 თებერვლის N01-12 ბრძანებით დამტკიცებული ,,აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკის“ , შპს ,,აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის“ წესდების 5.2 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1.გამოცხადდეს ღია კონკურსი 2026 წლის 20 იანვრიდან შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის მედიცინის სკოლაში უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის (2 ადგილი) და მეცნიერ-თანამშრომელის (3 ადგილი) სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად შემდეგი მიმართულებით:
ა) სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები;
ბ) სამედიცინო კლინიკური მეცნიერებები;
გ) ჯანდაცვის მეცნიერებები;
დ) გამოყენებითი მეცნიერებები;
ე) სოციალური მეცნიერებები.
2. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დასაკმაყოფილებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვროს შემდეგნაირად:
2.1 **უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის** თანამდებობის დაკავება 3 (სამი) წლის ვადით შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, ასევე რეცენზირებულ ჟურნალში ბოლო 3 წლის მანძილზე გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ ერთი სამეცნიერო ნაშრომი.
2.2 **მეცნიერ-თანამშრომლის** თანამდებობის დაკავება 3 (სამი) წლის ვადით შეუძლია პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.
3. კონკურსი უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს;
4.კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა ელექტრონულად უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტები:
ა) პირადობის მოწმობის ასლი;
ბ)CV (რეზიუმე), სადაც მითითებული იქნება გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;
გ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;
დ) შესაბამისი სამეცნიერო, დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი (უცხოეთში მიღებული აკადემიური ხარისხის შემთხვევაში,

კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების თაობაზე);

ე) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია და ასლები (წარმოსადგენია გამოქვეყნებული შრომების სრული ნუსხა, რომელიმე პუბლიკაციის ასლი კანდიდატის შერჩევით);

ვ)შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა "სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ“ და ცნობა „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ (წინამდებარე პუნქტში მოხსენიებული ცნობების წარდგენა სავალდებულოა კონკურსის მეორე ეტაპზე გადასავლის შემთხვევაში).

5. საკონკურსო განცხადებების მიღება იწარმოოს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმის წარმოების სამსახურში ელექტრონულად შემდეგ მისამართზე: HR@eastwest.edu.ge.

6.საკონკურსო განცხადება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, https://eastwest.edu.ge და www.jobs.ge-ზე.

7.კონკურსში მონაწილე კანდიდატთა განაცხადების შეფასება მოხდეს უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის მიერ.

8.კონკურსანტთა მიერ გამოგზავნილი საკონკურსო დოკუმენტები დამუშავდეს ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად, მხოლოდ წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული მიზნობრიობით.

9. კონკურსის ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) საკონკურსო დოკუმენტების მიიღება: 2026 წლის 23 – 24 თებერვალი;

ბ) საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტთა დოკუმენტაციის შესწავლა-პირველადი შეფასება: 2026 წლის 25-26 თებერვალი;

გ) დოკუმენტაციის შედეგად შერჩეულ კონკურსანტებთან გასაუბრება: 2026 წლის 27 თებერვალი;

დ) კონკურსის შედეგების გამოქვეყნება: 2026 წლის 28 თებერვალი;

ე) საჩივრების მიღება: 2026 წლის 2 მარტი;

ვ) საჩივრების განხილვა: 2026 წლის 4 მარტი;

ზ) საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და კონკურსის საბოლოო შედეგების გამოცხადება: 2026 წლის 5 მარტი.

10.კონკურსის შედეგები გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე - https://eastwest.edu.ge.

11.დაევალოს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურს, ამ ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ- გვერდზე განთავსება.

12.დაევალოს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტს მედიცინისა და ჯანდაცვის მეცნიერებების მიმართულებით კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე.

13. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

14.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი ხუროძე,

აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის პრეზიდენტი